



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

13/01/2026



MIA 0 26 00107414

ადრესატი: გიგი (მაიდენტიფიცირებელი მონაცემები უცნობია)

ელექტრონული ფოსტის მისამართი:
foi+request-3844-2532b180@askgov.ge

ბატონო გიგი,

თქვენი 2026 წლის 12 იანვრის №87736 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება მოქალაქე გიორგი როსტომაშვილის დაკავების და ძებნის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, გაცნობებთ, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, რომელთა დამუშავება (გადაცემა მესამე პირთათვის) დასაშვებია მხოლოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-4 მუხლით განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვითა და მე-5, მე-6 მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.

კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისათვის. ამასთან, მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის თანაზომიერი, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ მოთხოვნილი პერსონალური ინფორმაციის დამუშავების კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი და ლეგიტიმური მიზანი.

ასევე, განგიმარტავთ, რომ „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ ფიზიკური პირი ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობისას კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმას აირჩევს და მის მიერ წარდგენილი დოკუმენტი ხელმოწერას ან/და შტამპს საჭიროებს, სავალდებულოა ამ დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულება ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმა. შესაბამისად,



გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად ხელმოწერილი დოკუმენტი ან განცხადება შემოიტანოთ მატერიალურად (პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად).

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ პირის ძებნა/ნასამართლობის შესახებ ცნობის მისაღების მიზნით, „სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის №892 ბრძანების შესაბამისად, მიზანშეწონილია, მიმართოთ სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, რომელიც დადგენილი საფასურის შესაბამისად, გასცემს ზემოაღნიშნულ ცნობას. აღნიშნული ცნობის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს დაინტერესებული პირის განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება მონაცემთა სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მონაცემთა სუბიექტის მიერ მის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე გამოხატული წერილობითი თანხმობა, ასევე, ზემოაღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

ეკატერინე მარხვაშვილი
ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)
ადმინისტრაციის უფროსი

ე. მარხვაშვილი

